საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად:

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:

1.1. ორგანული ქიმია (1 ვაკანსია-პროფესორი);
1.2. ქიმია (1 ვაკანსია- პროფესორი);
1.3. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების ტექნოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი);
1.4. სატყეო საქმე (1 ვაკანსია-პროფესორი);
1.5. მაღალმოლეკური ნაერთების ქიმია (1 ვაკანსია- პროფესორი;);
1.6. კვების ტექნოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი);
1.7. მიკრობიოლოგია (1 ვაკანსია - პროფესორი);
1.8. ბიოქიმია (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
1.9. მოლეკულური გენეტიკა (1 ვაკანსია - ასისტენტ-პროფესორი);
1.10. მსოფლიო ისტორია და საქართველო (1 ვაკანსია - ასისტენტ-პროფესორი);
1.11. მარკეტინგი (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
1.12. მენეჯმენტი (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
1.13. სამეწარმეო სამართალი (1 ვაკანსია ასისტენტ პროფესორი).

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
2.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
2.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება

დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2024 წლის 7 მარტიდან - 2024 წლის 11 მარტის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
   - ბიოგრაფია (CV);
   - სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
   - შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
   - ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
   - პუბლიკაციების ჩამონათვალი;
   - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   - ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნასამართლეობის შესახებ.

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - **https://form.jotform.com/232495602384459**

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2024 წლის 12 მარტიდან - 2024 წლის 14 მარტის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2024 წლის 15 მარტიდან - 2024 წლის 20 მარტის ჩათვლით.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი.

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge